

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გენდერული სახელფასო სხვაობა 2021 წელი



28.12.2022

შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა 2021 წელი


2021 წელს შესწორებულმა გენდერულმა საათობრივმა სახელფასო სხვაობამ 15.7 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ყოველთვიური სახელფასო სხვაობის შემთხვევაში 21.4 პროცენტია. გასულ წელთან შედარებით გენდერული საათობრივი სახელფასო სხვაობა 0.2 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, ხოლო ყოველთვიური სახელფასო სხვაობა უცვლელი დარჩა.

საქმიანობის ძირითადი სახეების მიხედვით 2021 წელს ყველაზე მაღალი შესწორებული გენდერული საათობრივი სახელფასო სხვაობა მრეწველობაში დაფიქსირდა და 30.6 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი მომსახურების სფეროში 14.1 პროცენტია, ხოლო სოფლის მეურნეობაში 9.3 პროცენტი შეადგინა. მშენებლობაში შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა უარყოფითია და -4.6 პროცენტს შეადგენს, რაც გულისხმობს, რომ კაცების საშუალო საათობრივი ხელფასი ჩამორჩება ქალების შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შესწორებული საათობრივი და ყოველთვიური გენდერული სახელფასო სხვაობა საქმიანობის სახეების მიხედვით.

დიაგრამა №1

შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, 2021
(%)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


28.12.2022

დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით, ყველაზე დიდი შესწორებული საათობრივი გენდერული სახელფასო სხვაობა ხელოსნების და მონათესავე სფეროების მუშების პოზიციაზე დაფიქსირდა და 46.4 პროცენტი შეადგინა, მეორე ადგილზეა მენეჯერების პოზიცია (40.4 %), ხოლო მესამე ადგილზე დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორების პოზიცია (33.9 %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შესწორებული საათობრივი და ყოველთვიური გენდერული სახელფასო სხვაობა დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით.

დიაგრამა №2

შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით, 2021
(%)



28.12.2022

საინფორმაციო ფურცელი

გენდერული სახელფასო სხვაობა წარმოადგენს კაცისა და ქალის საშუალო ხელფასებს შორის სხვაობის თანაფარდობას კაცის საშუალო ხელფასთან. გენდერული სახელფასო სხვაობა, რომელიც არ ითვალისწინებს დემოგრაფიულ და სამუშაო მახასიათებლებს, ცნობილია, როგორც შეუსწორებელი გენდერული სახელფასო სხვაობა. დემოგრაფიული მახასიათებლების (ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილმდებარეობა - რეგიონი/დასახლების ტიპი და ა.შ.) და სამუშაო მახასიათებლების (ეკონომიკური საქმიანობის სფერო, დაკავებული პოზიცია და ა.შ.) გათვალისწინების შემთხვევაშიც კაცისა და ქალის ხელფასებს შორის არსებობს სხვაობა. აღნიშნული სხვაობა წარმოადგენს შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელს. სახელფასო სხვაობის გამომწვევი სოციალური ფაქტორები საკმაოდ კომპლექსურია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ფუნდამენტური კონვენცია „მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ“ ქვეყნებს ავალდებულებს უზრუნველყონ თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურება დისკრიმინაციის გარეშე.

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის მაჩვენებელი გაანგარიშებულია სამუშაო ძალის გამოკვლევის საფუძველზე, 15-64 წლის დაქირავებული მოსახლეობისთვის, რეგრესიული მოდელის გამოყენებით.

შენიშვნები:

რელიზში გამოყენებულია დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია - ISCO-08 და ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2.

საკონტაქტო პირები:

ვასილ ნაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge